№ 134
შაბათი, 26 ივნისი, 1899 წ.

1877—1899

# ივერია

№ 134
შაბათი, 26 ივნისი, 1899 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ
16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე
ღირება **6** მან. **50** კაპ.

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

## საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.**
(30—78—19)

## «ივერიის» რედაქციისაგან.

ვისაც სურს, რომ პირველ ივლისიდგან გაზეთის გზავნა არ მოესპოს, უნდა წარმოადგინოს გაზეთის ხვედრი ფული ივლისისავე პირველ რიცხვამდე.

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12** საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ე. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ა. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. გ. გურკო.** 1½—2 ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი** 7½—8 საათ.

**ტ. ი. რუდენკო**—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტერიოლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардiана.*
Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.
(—1—წ).

## ექიმი
## კ. ი. გძელიშვილი
მიიღებს
ყელისა, ცხვირისა და ყურით
ავადმყოფებს.

დილ. 9—11 ს., საღამოზე 5—7 ს.

მიხეილის ქუჩა, ნემეცების ეკკლესიის პირდაპირ. Михайловская, противъ кирки.
(100—31—42)

### მთავრობის განკარგულებანი.

ებოძათ: კოლლეჟსკი ასესორობა—ბორჩალოს სამაზრო პოლიციის სამმართველოს მდივანს მელიქოვს; ტიტულიარნი სოვეტნიკობა—კოლეჟსკი სეკრეტარს, ბაკურციხის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელად ნამყოფს თ. ჯორჯაძეს; გუბერნსკი სეკრეტრობა—კოლლეჟსკი რეგისტრატორს, ტფილისის საგუბერნიო სამმართველოს საკანცელარიო მოხელეს პეტრიაშვილს და კოლეჟსკი რეგისტრატორობა: ტფილისის სამაზრო პოლიციის სამმართველოს მოხელეს კავლიაშვილსა და ტფილისის ქალაქის პოლიციის მოხელეს მახვილაძეს.

დათხოვნილ იქმნა: ტფილისის პოლიციის მოხელე ქურდიანიძე სამსახურიდგანა და თანამდებობიდგან, როგორც არ-შესაფერისი ამ საქმისა.

## ახალი ამბავი

*** ტფილისის ქალაქის საბჭოს სხდომა 24 ივნისს არ შესდგა ხმოსანთა კანონიერის რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

ამ ზაფხულში უკანასკნელი სხდომა საბჭოსი დანიშნულია 28 ივნისისათვის. თუ ამ სხდომაზედაც არ დაესწრო საკმარისი რიცხვი ხმოსანთა, მაშინ განსახილველად დანიშნული საქმეები გარდასწყდება საგუბერნიო მთავრობის მიერ.

*** 23 ივნისს ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებაში მოხდა საჯარო ვაჭრობა ამ ბანკში დაგირავებულ 23 მამულის გასასყიდად. სულ ამ მამულების ვალი უდრიდა 100,000 მან. გაიყიდა 22 მამული 123,000 მან., გაუყიდველი დარჩა მხოლოდ ერთი სახლი, რომლის გაყიდვა დანიშნულია 30 ივნისისათვის.

*** ტფილისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლი თავ. კ. ი. მუხრან-ბატონი მიემგზავრება ბორჯომს. მისი თანამდებობის ასრულება მიენდო ტფილისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლს.

*** კავკასიის სააბრეშუმო სადგურში გამართული კურსები მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობისა მრავალ მსმენელს იზიდავს: ყოველ დღე ესწრება 40-მდე კაცი.

*** მთავრობამ ნება დართო გაიმართოს ივნისში სოფ. ხაშურსა და სურამში ბაზრობა და სახალხო სეირნობა ხაშურის რკინის გზის სკოლის საფეიქრო განყოფილების ნაწარმოებთა გასასყიდად.

*** როგორც სარწმუნო წყაროებიდგან გავიგეთ, ბ-ნი კახიძე წერა-კითხვის საზოგადოებას კი არ გადაუყენებია ამ საზოგადოების კავკავის სკოლის მმართველის თანამდებობიდგან, როგორც გუშინ გვქონდა შეცდომით მოხსენებული, არამედ თითონ დაუნებებია თავი სამსახურისათვის.

*** ქართულ სახალხო წარმოდგენების გამმართველ კომისიას სათეატრო დარბაზი მოუწყვია ნაძალადევში საზაფხულოდ წარმოდგენების გასამართავად. პირველ წარმოდგენის გამართვა განზრახულია 29 ივნისსათვის.

*** სახელმწიფო ქონებათა სამმართველომ დაუთმო ერთს კერძო კამპანიას სახაზინო ადგილები ბზიბის უღელტეხილს ახლო ქვანახშირის დასამუშავებლად.

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ უკვე მიიღო ერთი წყება სამეურნეო იარაღები იმ საწყობისათვის, რომელსაც საზოგადოება აარსებს.

*** უცხო-ქვეყნელ კაპიტალისტთა კომისიას მოლაპარაკება აქვს გამართული თელავის მაზრაში ერთის დიდის მამულის საყიდლად, რომელიც შესდგება სახნავ-სათეს ადგილებისა, ვენახებისა და ტყეებისაგან.

*** ამ წლის მარტში ტფილისის ვიცე გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის მოურავს, წარმოედგინეთ ქალაქის საბჭოს იმ დადგენილების პირი, რომლის ძალითაც დაწესებულ იქმნა „საკვირაო გარდასახადი“ და აგრეთვე მიჩვენით ამ გარდასახადის რაოდენობა. ქალაქის მოურავმა 4 მაისს აცნობა გუბერნიის უფროსს: ქალაქის გამგეობის საქმეებიდგან არა ჩანს, რომ „საკვირაო გარდასახადის“ დაწესების შესახებ რაიმე საგანგებო დადგენილება მოეხდინოს საბჭოს, მაგრამ ასეთის გადასახადის აკრეფის კანონიერება-კი ეჭვს გარეშეაო.

*** ქუთაისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში წელს 7 კლასის კურსი დაამთავრა სულ 45 მოსწავლე ქალმა, მათ შორის ოქროს ჯვრე

## ფელეტონი

### უცხოთა შორის

დედათა საერთა-შორისო კონგრესი ლონდონში.—ქალთა კლუბები პარიჟსა, ბერლინსა და ლონდონში.—კლუბების სიმრავლე ლონდონში.—არისტოკრატ ქალთა კლუბები.—კლუბები დედა-კაცთა და მამა-კაცთათვის.—იაპონელი ქალები.—სწავლა-განათლების საქმე იაპონიაში.—სასწავლებლები: პირველ-დაწყებითი, საშუალო და უმაღლესი.—უნივერსიტეტები და სპეციალური სკოლები,—სხვა სასწავლებლები.

მკითხველებმა უკვე უწყიან, რომ 8 ივნისს ლონდონში გაიმართა დედათა საერთა-შორისო კონგრესი, რომელიც ჯერ არ დასრულებულა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ამ კონგრესზედ 1200 ქალთა საზოგადოებამ გაგზავნა თავისი წარმომადგენელი. კრებები ყოველ-დღე, წევრებს გაცხარებული სჯაბაასი აქვთ სხვა და სხვა საგნების შესახებ. სხვათა შორის, ლედი ბალფურს წარმოუთქვამს სიტყვა, რომელშიაც სასტიკად გაუკიცხნია ინგლისის ლორდთა პალატა იმის გამო, რომ იგი ქალებს ქალაქის საბჭოებში წევრობის ნებას არ აძლევს.

უმრავლესობა ამ კონგრესს, რასაკვირველია, სიხარულით მიეგება; მაგრამ ისეთნიც აღმოჩნდნენ, რომელთაც სხვა თვალით შეჰხედეს. გავლენიანი გაზეთი „Times“-ი ამბობს, მაგალითად, რომ ქალები ბევრს უფლებას თხოულობენ და ძალიან ბევრს რასმეს ეპოტინებიანო.

კონგრესში მონაწილეობას იღებენ ჩინელი ქალებიც კი; ერთმა მათგანმა ექიმმა კონმა სამკურნალო განათლება ამერიკაში მიიღო. ამერიკიდგან სხვებზედ უფრო საინტერესო დელეგატია მღვდელი ანნა შაუ. ეს ქალი პირველია, რომელმაც მღვდლის ხარისხი მიიღო.. ქ-ნმა შაუმ სასულიერო-მეტყველო ფაკულტეტი გაათავა ბოსტონის უნივერსიტეტში. პირველ ხანს, რასაკვირველია, ბევრი ბრძოლა მოუხდა, მაგრამ ბოლოს მაინც თავისი გაიტანა და მღვდლად გახდა. შაუს ერთი გადაჭრილი მრევლი არა ჰყავს. შეერთებულ შტატებში მრავალი წვრილ-წვრილი სოფლებია, რომელთაც მღვდლის შენახვა არ შეუძლიანთ. შაუ სწორედ ამ სოფლებს უწევს მღვდლობას: ერთი სოფლიდგან მეორეში გადადის და ყველა საჭირო საქმეს ასრულებს. ეს მღვდელი საუკეთესო მქადაგებელია, მან უკვე დიდი სახელი მოიპოვა შეერთებულ შტატებში. შაუს გარდა ეხლა სხვა ქალებიც არიან იქ მღვდლებად.

***

ინგლისელმა ქალებმაც გადასწყვიტეს ამერიკელების მაგალითს მიჰბაძონ. კარგა ხანია დედათა კლუბებში ლაპარაკია აძრული იმის შესახებ, რომ ინგლისშიაც მიენიჭოს ქალებს მღვდლობის უფლება. საზოგადოდ ეს კლუბები ბევრს აკეთებენ და დიდს სამსახურს უწევენ დედათა კითხვას.

ქალთა კლუბები ამ ჟამად ინგლისს გარდა არსებობს მხოლოდ პარიჟსა და ბერლინში. საფრანგეთის ქალები მაგრე რიგად არ ეტანებიან კლუბს, იქ დღემდის მტკიცედ იცავენ იმ აზრს, რომ ქალის დანიშნულება ოჯახია, კერაა; იგი არ უნდა მოჰშორდეს ამ კერას, ყოველივე საქმე ქალმა იქ უნდა ჰპოვოსო.

პირველი კლუბი პარიჟში დაარსებულ იქმნა ამ ორის წლის წინად. დამაარსებელმა ქ-ნმა მარსიმ თავისს მოწოდებაში გამოაცხადა, რომ ამ კლუბისაგან ოჯახს არავითარი შიში არ მოელისო, ვაარსებ ამას მხოლოდ ქვრივებისა და გასათხოვარ ქალებისათვისაო. კლუბს ასი წევრი თუ ეყოლება, სადგომიც საკმაოდ მოწყობილი არა აქვს. მეორე კლუბი ამას წინად დაარსეს. ესეც პირველისაგან ბევრით არაფრით განირჩევა. ეხლა აზრადა აქვთ ორივე კლუბი შეაერთონ. ამ კლუბებში შესვლისათანავე შეატყობს კაცი, რომ საფრანგეთში ქალები ჯერ ვერ შეჩვევიან ამ გვარ დაწესებულებას: წევრები გვიან იკრიბებიან, კლუბში ცოტა ხანს რჩებიან, ისიც კუნჭულებში სხედან, თითქო ერიდებიან ერთმანეთსაო. კლუბსა აქვს წიგნთსაცავი, სასადილო ოთახი და რამდენიმე დარბაზი. იმართება ხოლმე საღამოები და ლექციები; პირველს საზოგადოება (ლექციებსა და საღამოებზედ მცირე სასყიდლით არა წევრებსაც შეუძლიან დაესწრონ) სიამოვნებით ესწრება, მეორეზედ-კი 20—40 კაცს ძლივს ჰნახავთ. ერთის სიტყვით, საფრანგეთში ქალებისათვის კლუბი ჯერ ახალი და შეუჩვეველი საქმეა.

უფრო კარგად წავიდა საქმე გერმანიის სატახტო ქალაქ ბერლინში. იქ პირველი ქალთა კლუბი დააარსა პროფესორის მეუღლემ ქ-ნმა ლეიდენმა. ამ პატივცემულ მანდილოსანს აზრადა აქვს კლუბის შემწეობით შეაერთოს ქალები, ხელი შეუწყოს იმათს განვითარებას. კლუბს სახელად „Frauen Klub“-ი ეწოდება. დაარსებისას 90 წევრი ჰყავდა, ეხლა-კი მათი რიცხვი 300-ს აღემატება. კლუბს თავისი თანხა აქვს, ამას გარდა-საკუთარი შენობა მშვენიერის ბაღით. წევრები სიამოვნებით და ხალისით დაიარებიან კლუბში და თან სტუმრებსაც მიჰყავთ ქალები რასაკვირველია, მამა-კაცებს-კი შესვლის ნება არა აქვთ. საზოგადოდ კლუბმა ბერლინში უფრო მაიკიდა ფეხი, ვიდრე პარიჟში და მომხრეც გერმანელ ქალთა შორის უფრო ბევრი მოიპოვა.

მაგრამ ამ მხრივ ინგლისს ვერც ერთი ქვეყანა ვერ შეედრება. როგორც არა ერთხელ გვითქვამს, ინგლისი საზოგადოდ კლასიკური ქვეყანაა კლუბებისა. იქ, სადაც განსაკუთრებული კლუბები არსებობს „ქაჩლებისათვის“, „ულვაშოთათვის“,

ბით დაჯილდოვებულ იქმნა ორი ქართველი ქალი აბდუშელი ალექსანდრა და ღოღობერიძე ზინაიდა, ხოლო ვერცხლის ჯვრით — ქავთარაძე ნატალია. VIII კლასის კურსი დაამთავრეს შემდეგმა ქართველმა ქალებმა: ხოჯაშვილმა სოფიომ, ახვლედიანმა სარრამ, დუმბაძემ ოლღამ, კეკელიამ ნადეჟდამ, კლდიაშვილმა ოლღამ, ლაკერბაიამ აღათიმ, მგელაძემ ნატალიამ, სუმბათაშვილმა ელენემ, თურქიამ ნატალიამ, ხარაზიშვილმა ნინომ, წულუკიძემ ანნამ და ჩიკვაიძემ ზინაიდამ.

*** ქალაქის გამგეობამ მოისმინა საგანგებო კომისიის მოხსენება, რომელსაც 1898 წელს ქალაქის საბჭომ აზრის გამოთქმა მიანდო იარმუკის წვრილ ვაჭართა იმ შუამდგომლობის შესახებ, რომ შეიცვალოს იარმუკაზედ სავაჭრო ადგილების ქირის აკრეფის წეს-რიგი, და დაადგინა: 1) გაუქმდეს ნიხრის შედგენა ვაჭრობის მიხედვით, მაგრამ რადგან ამ გაუქმების გამო ნიხრი არ შეიცვლება, დამტკიცებულ იქმნას ქირების არსებული განაწილება; 2) უარყოფილ იქმნას კომისიის დადგენილება ნიხრის სანახევროდ შემცირების შესახებ; 3) გადახდეს ქირა 4 კვირით წინ მხოლოდ იმ ვაჭრებს, რომელთაც სურთ ისარგებლონ ადგილით ოთხ კვირას; 4) არ იქნას შეწყნარებული კომისიის აზრი საეკკლესიო ადგილების სავაჭროდ იჯარით გაცემის შესახებ; 5) იქმნას სახეში მიღებული კომისიის აზრი საკვირაო გარდასახადის ამკრეფებზედ ზედამხედველობის გაძლიერების შესახებ; და 6) უყურადღებოდ იქმნას დატოვებული მებოჭკეთა საჩივარი.

ეს დადგენილება წარედგინება განსახილველად საბჭოს.

*** რადგან კანონის ძალით სოფლის ნაწარმოებთა გამყიდველთ მხოლოდ იმ დღეებში შეუძლიანთ განთავისუფლდნენ გარდასახადისაგან, რომლებიც საგანგებოდ დანიშნულია ვაჭრობა-ბაზრობისათვის, ამის გამო ქალაქის გამგეობამ მიანდო უფროსს სავაჭრო-სამეურნეო ზედამხედველს გამოსთქვას და გამგეობას წარუდგინოს თვისი აზრი იმის შესახებ, თუ სად და რა სახით შეიძლება დაწესდეს სავაჭრო დღეები სოფლის ნაწარმოებთათვის.

*** ტფილისის მაზრის სოფ. თოხლიაურსა და მის ახლო-მახლო სოფლებში ვენახები ძლიერ დაუზიანებია ნაცარს.

*** ამას წინად „ივერია“-ში მოხსენებული გვქონდა, რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში რვა ქართველმა დაამთავრა სწავლა, და მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იყო გაზეთში. ეხლა გვატყობინებენ, რომ იმ რვა კაცის გარდა კიდევ ერთმა ქართველმა — იოსებ ზაქარიაძე მაყაშვილმა — დაასრულა კურსიო.

*** „ტფ. ფურც.“-ს ატყობინებენ, რომ ადგილობრივ მეაბრეშუმეთ გადაუწყვეტიათ, როცა მიწად მოქმედების მინისტრი ერმოლოვი კავკასიაში ჩამოვა, შუამდგომლობა აღძრან მის წინაშე იმის შესახებ, რომ დაარსებულ იქმნას ამიერ-კავკასიაში რამდენიმე სააბრეშუმო-საფეიქრო სკოლა

*** ქ. ახალციხე. ქ. ახალციხეს იმ ნაწილში, რომელსაც „დარა-მაილა“-ი ჰქვია, ხევში გამოდის მადნის მწარე წყლები, რომლის გემო რამდენადმე წააგავს უნგრეთის მწარე საფალარათო წყლების გემოს. ეს წყლები დიდის ხნიდგანვე ცნობილია როგორც სამკურნალო წყლები და იხმარება კუჭისა, ნაწლევებისა და სხვა გვარ ავადმყოფობისაგან განსაკურნავად. გარდა ამისა, ამ წყლების ტალახით სწამლობენ კანის ავადმყოფობას. წყლების მოსაწყობათ ადგილობრივმა ქალაქის გამგეობამ დადგინა: მიენდოს ქალაქის მამასახლისს შუამდგომლობა აღძრას ტფილისის გუბერნატორის წინაშე იმის შესახებ, რომ გაგზავნილ იქმნას ახალციხეში მცოდნე კაცი დარამალის წყლების გამოსაკვლევად („კავკ.“)

*** გუშინ წინ, 24 ივნისს, პირველ მაღაზის ქუჩაზედ ლუიზა მადერის დუქანში ქ. თელავის მცხოვრებელმა დავით იოსების ძე მაისურაძემ ხანჯლით მოჰკლა თავისი საყვარელი ქალი რუსანოვისა. პოლიციამ მოკლულის გვერდით იპოვა დაბეჭდილი კონვერტი წერილით მე 10 ნაწილის ბოქაულის სახელობაზედ, რომ „მე, მაისურაძემ მოვკალი რუსანოვისა და სხვას არავის დააბრალოთ მაგის მოკვლა. მიყვარდა და იმიტომ მოვკალ. მეც მტკვარში გადავარდები და თავს დავირჩობ“-ო. მართლაც 25 ივნისს დილის 6 საათზედ მაისურაძე გადახტა ბორნიდგან შუა მტკვარში და დაირჩო.

*** 24 ივნისს, მტკვარში, თამამშევის წისქვილის მახლობლად, ჰპოვეს ვიღაც კაცის გვამი. როგორც პოლიციამ აღმოაჩინა, დამრჩვალი ყოფილა აზნაური ივანე ვასილის ძე წერეთელი.

---

## სამკურნალო მცენარენი *).

მეტად მდიდარია ჩვენი სამშობლოს ბუნება, მშვენიერი სანახავია, როცა მთა-ბარს ეჯიბრება და ათი ათას გვარ მცენარეულობით, ზურმუხტივით მწვანეთ, საუცხოოთ იმოსება, ფერად-ფერადი ყვავილები გასაოცარ მორთულობით თვალს იტაცებს, გულს ახარებს, ოცნებასა ჰხიბლავს და... პრაქტიკულად-კი ჯერ კიდევ, იმდენად მაინც ვერ ვსარგებლობთ ჩვენის ღვთივ კურთხეულ ბუნებითა, რამდენადაც განათლებული ევროპიელი შესძლებდა სარგებლობას.

ავიღოთ მაგალითად სამკურნალო მცენარენი. ყოველ ზაფხულობით ვინ იცის რამდენ ძვირფასს, სასარგებლო მცენარეს ვთელავთ ფეხ-ქვეშ და ეგ ახლოდ კი იმიტომ, რომ არ ვიცით მათი არც ღირსება, არც თვისება. უხვად უთესველად, უშრომლად, თვით ბუნება ყოველ წლივ ფანდაზედ გვიშლის თავის დალოცვილ წალოს, უშურველად ათას თუმნებს გვაწოდებს, მაგრამ გამომრთმევი კი არავინა ვართ, აკი ამიტომაც სარგებლობენ ჩვენის უმეცრებით ევროპიელნი, ყოველ წლივ ათი ათასი ფუთობით ევროპა ჰგზავნის რუსეთში სამკურნალო მცენარეებს, სწორედ იმ მცენარეებს, რომელნიც ჩვენში ოხრად ჰყრია. თუ მცა საქართველოს ფლორა აქამომდე მეცნიერულად ძალიან ცოტათაა გამოკვლეული და შესწავლილი, მაგრამ ჩვენ მაინც იმ აზრისანი ვართ, რო ჩვენს აფთიაქრებს ადვილად შეუძლიანთ ხალხს ასწავლონ სამკურნალო მცენარენი და მათის მოკრეფა — გახმობის წეს — რიგი, ამით თითონაც ისარგებლებენ და ხალხსაც არა ერთსა და ორს მანეთს შემატებენ. თქვენ პატრონი ბრძანეთ, თორე მარტო კავკასიას შეუძლია სამკურნალო მცენარეებით მთელი რუსეთი დააკმაყოფილოს. ტფილისში არსებობს „კავკასიის სამკურნალო საზოგადოება,“ „კავკასიის სამეურნეო საზოგადოება“ და „კავკასიის ფარმაცევტთა საზოგადოება.“ ესენი კავკასიაში მოქმედებენ, გარს ამდენი სამკურნალო და სასარგებლო მცენარენი, ეხვევიან ეხვეწებიან. მოგვკრიფ თო, და გერმანიიდგან-კი იწერენ იმ მცენარეებს, რომელთაც აქ უბრალო ბალახივით ყოველ წლივ თივად სთიბვენ. იქმნება გაგეცინოს მკითხველო, ზოგიერთი ჩვენი მეაფთიაქე ქანქარსაც კი ნემეცურს იწერს, დალახვროს ღმერთმა, ნემეცები! იმათი ქანქარიც ქანქრობს და ჩვენს ქანქარს-კი რაღაც ღმერთი უწყრება.

გაზეთის საშუალებით, რასაკვირველია, ძნელია გავაცნოთ მკითხველს ყველა ის სამკურნალო და სასარგებლო მცენარე, რომელნიც ჩვენში იზრდება. ამ წერილით ჩვენ გვწადია ხალხს მცირედი რამ სამსახური გაუწიოთ და დაუსახელოთ მხოლოდ ყველასთვის ადვილი საცნობი სამკურნალო მცენარენი და მათი ნაწილები, რომელნიც მიღებულია სამკურნალო მეცნიერებაში და, მაშასადამე, ბაზარი, გასავალი აქვს და ყველა მეაფთიაქე იყიდის.

1, ბალახები:

აბზინთა, Herba Absinthii, Полынъ, ფუთი ღირს 3 მან.

ბარცმანუკი დედალი, H. Millefolii, Тысячелистникъ, ფუთი 3 მ. 20 კაპ.

კრაზანა, H. Hyperici, Звѣробой, ფ. 4 მ.

ოხრახუში, H. Petroselini, Петрушка, ფუთი 8 მან.

ქონდარი, H. Satureÿae, Чаберъ ფუთი 10 მან.

ქრისტეს სისხლა, H. Chelidonii mayoris, Чистотѣль большой, ფუთი 8 მან.

ჭინჭარი, H. Urticae, Крапива, ფუთი 4 მან. 50 კაპ.

2, მცენარეთა ნაყოფნი:

თესლი ანისუნისა, Semen Anisi v, Анисъ, 3 მან.

თ. კამისა, Sem. Anethi, Сѣмена укропа, ფუთი 4 მან.

თ. კანაფისა, Sem. Cannabis, Сѣм. Конопля, ფუთი 3 მან.

თ. ოხრახუშისა, Sem. Petroselini, Плоды петрушки, ფუთი 10 მან.

თ. რაზიანისა, Sem. Foeniculi, Сѣм. аптечн. укропа, ფუთი 8 მან.

თ. კომშისა (კომშის გული), Sem. Cydoniae, Сѣмя айвы, გირვანქა 75 კაპ.

თ. ლენცოფასი, Sem. Hyosicyami, Сѣм. черной бѣлены, გირ. 50 კაპ.

თ. ქინძისა, Sem. Coriandri, Плоды кишнеца, გირვანქა 10 კაპ.

რკო მუხისა, Sem. Quercus, Дубовыя желуди, გირვანქა 10 კაპ.

შავკვალა, Sem. Nigellae, Чернушка, ფუთი 5 მან. 50 კაპ.

ხილი ჟოლოსი, Fruct. Rubi Jdaei, Малина, ფუთი 7 მან. 50 კაპ.

ხაშხაშის თავები, Fr. papaveris. Маковыя коробочки, ფუთი 6 მან.

ღვიის კენკრა, Fr. Juniperi, Можжевеловыя ягоды, ფუთი 4 მან.

ნუში ტკბილი და მწარე, Amygdalae dulces et amarae, Миндаль сладкій и горькій.

3, ფოთლები:

ბალბისა, Folia Malvae, Листья просвирки, ფუთი 2 მან.

ბარამბოსი, Fol. Melissae, Л. Медовки, ფუთი 8 მან.

ვირის ტერფასი, Fol. Farfarae, Л. бѣлокопытника, 5 მან. 50 კაპ.

ლემისა, Fol. Stramonii, Л. дурмана, ფუთი 2 მან.

*) სიამოვნებითა ვბეჭდავთ-რა ამ ყოვლად საყურადღებო და სასარგებლო წერილს, ვისურვებთ, რომ პატივცემულ ბ ნ ი. ალხაზიშვილის წინადადებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს. რედ.

---

„სქელ-კაცებისათვის“, ეჭვი არ არის, იქ, ვამბობთ, ქალებისათვისაც დაარსდებოდა კლუბი. მართლა და, სხვა ქალაქები რომ მხედველობაში არ მივიღოთ, მარტო ლონდონში მათი რიცხვი უთვალავია. სხვა და სხვა კლუბებით (მხედველობაში იქონიეთ, მარტო ქალების კლუბებით) აჭრელებულია ლონდონის თითქმის ყველა ქუჩა. არსებობს იქ კლუბი არისტოკრატ ქალებისათვის, მილიონერების ცოლებისათვის, შუათანა ვაჭრების ცოლებისათვის, მუშა ქალებისათვის, გასათხოვარ და გათხოვილ ქალებისათვის და სხვა და სხვა. არის ისეთიც, სადაც ყველა წრის, წოდების, კლასის და ხელობის ქალს შეუძლიან ჩაეწეროს წევრებად.

პირველთა რიცხვს ეკუთვნის სხვათა შორის, Alexandra კლუბი. ამ კლუბის წევრებად ითვლებიან მხოლოდ ისეთი მანდილოსნები, რომელთაც სასახლეში იღებენ. დაარსებულია იგი ამ 15 წლის წინად 1884 წელს. აბა რაღა ლაპარაკი უნდა, რომ ეს არისტოკრატ ქალთა კლუბი არისტოკრატულადვე იქმნება მოწყობილი. მაგრამ ამისდა მიუხედავად იქ ყველაფერი მარტივია და ესრედ წოდებულ „ეტიკეტს“ მაინცა და მაინც ყურადღებას არ აქცევენ.

უფრო მდიდრულად არის მოწყობილი არისტოკრატთა მეორე კლუბი — Empress Club-ი, რომელსაც 2,000 წევრი ჰყავს. თუმცა აქაც წევრებად არისტოკრატ ქალებს იღებენ, მაგრამ ამ კლუბში შესვლა ისე ძნელი არ არის, როგორც პირველში. ამასთან დედა-კაცებს გარდა, მამაკაცებსაც შეუძლიანთ ჩაეწერნენ წევრად. Empress კლუბის ბრწყინვალე სალონებში ყოველ დღე შეჰხვდებით ინგლისის არისტოკრატთა ახალგაზრდობას, რომელიც მხოლოდ იმას აკეთებს, რომ ქალებს დასდევს, ქეიფობს, დოღებში დაიარება და ქალების, ცხენების და ჰადრაკის შესახებ ლაპარაკობს.

სხვათა შორის სახელ-განთქმულია Albermarle Club-ი, დაარსებული 1874 წელს. ეს კლუბი როგორც მამა-კაცებისა, ისე დედა კაცებისაც არის. ხშირად წევრებად მეუღლენი არიან ხოლმე. ახალი წევრი წესდების ძალით ერთხმად უნდა იქმნას მიღებული და არა ხმის უმეტესობით. ამის წყალობით კლუბი ერთ დიდ ოჯახსავით კარგ ნაცნობთა კრებულს წარმოადგენს.

სადგომი ამ კლუბისა მეტად გონივრულად არის მოწყობილი. არის როგორც საზოგადო დარბაზები ორსავე სქესისათვის, აგრეთვე კერძოდ დედა-კაცებისა და მამა-კაცებისათვის. წიგნთ-საცავის, საცეკვაო, საბილიარდო დარბაზებს გარდა მამაკაცებს ერთ-გვარი დარბაზიცა აქვთ, რომელსაც სახელად „სიჩუმის დარბაზი“ ეწოდება: ხმის ამოღება და დალაპარაკება იქ არავის შეუძლიან.

ქალთა კლუბების შორის არსებობს ისეთებიც, რომელთაც აზრად მარტო გართობა და დროს გატარება არა აქვთ. ასეთს კლუბებში იმართება კამათი სხვა და-სხვა საგნების შესახებ, კითხულობენ რეფერატებს და სხვა. ხშირად შეჰხვდებით ამგვარს კლუბში მდიდარ და არისტოკრატ ქალთან ერთად, ღარიბ მუშა-ქალს, რომელიც დღიურის შრომით ირჩენს თავს. უფრო ცნობილია Sesame-Club-ი. ეს კლუბი სწავლა-განათლების გავრცელებას ემსახურება. წევრები ლაპარაკს არა სჯერდებიან და საქმესაც აკეთებენ. უსაქმობა არც ეხერხება ბრიტანელს. თქმა და საქმის გაკეთება იმისთვის ერთია. ხსენებულ კლუბის წევრები აარსებენ სკოლებს, მუზეუმებს, წიგნთ-საცავებსა, ჰმართავენ გამოფენებს, ერთის სიტყვით, სწავლა-განათლების გავრცელებისათვის შრომას არა ზოგვენ.

Pioneer-Club-ი დაარსებულ იქმნა მისტრისს მესსინბერდის მიერ. ეს კლუბი დედათა კითხვას ემსახურება. დედა-კაცთა განთავისუფლება მამა-კაცების მონობისაგან, — განთავისუფლება ზნეობრივი, ეკონომიური, გონებრივი, — აი ის დედა-აზრი, რომელსაც ჰქადაგობს და ავრცელებს ეს კლუბი.

დასასრულ ლონდონში არსებობს განსაკუთრებული კლუბი მწერალ ქალებისათვის, — „Writer's-Club“-ი. კლუბს 350 წევრი ჰყავს. საყურადღებოა ამ კლუბის წიგნთ საცავი, სამკითხველო და სამუშაო ოთახი. მწერალ-ქალს ყოველგვარი წიგნი და ყოველივე მასალა შეუძლიან იშოვოს იქ.

***

როგორც გაზეთები იუწყებიან, კლუბის დაარსება იაპონელ ქალთაც განუზრახავთ. აშკარაა, იაპონელი ქალები ისე ადვილად ვერ განახორციელებენ ამ საქმეს, როგორც ინგლისელი ქალები: ხალხი ჯერ კიდევ საკმაოდ არ არის უწინდელ, ძველებურ შეხედულებისაგან განთავისუფლებული, მაგრამ მაინც ეს ამბავი მეტად საყურადღებოა. იაპონელი ქალები სცდილობენ არაფრით არ ჩამორჩნენ ევროპიელთ და ეს ცდა მარტო მიბაძვით არ არის გამოწვეული: თვით ცხოვრება მოითხოვს ამას. ასეთი წარმატება იაპონელ ქალებისა სწავლა-განათლების გავრცელებას უნდა მიეწეროს. სულ 30 წელიწადია, რაც იაპონია ევროპის გზას დაადგა, მაგრამ ამ მცირე ხნის განმავლობაში ისე კარგად მოაწყო და დააყენა სწავლა-განათლების საქმე, რომ ბევრს სახელმწიფოს ამ მხრივ გაუსწრო კიდეც.

1872 წელს იაპონიის იმპერატორმა მანიფესტში გამოაცხადა: ჩემი გულითადი სურვილი ის არის, რომ მთელს სახელმწიფოში უსწავლელი არც ერთი კაცი არ მოიპოვებოდესო. ამ აზრის სისრულეში მოყვანას ერთგულად შეუდგა როგორც მთავრობა, აგრეთვე საზოგადოება, წოდების განურჩევლად, და დღეს, განათლება თუ არა, ელემენტარული სწავლა-ცოდნა მაინც იმდენად არის გავრცელებული, რომ იშვიათად შეხვდებით წერა-კითხვის არ მცოდნე კაცს. მაგრამ როგორც ახალმა საქმემ, ბევრი შრომა და მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენცოფასი, Fol. Hyoscyami, Л. бѣлены, ფუთი 4 მან.

ნიგვზისა, Fol. Juglandis, Л. грецкой орѣшины, ფუთი 3 მან.

პიტნისა, Fol. Menthae, Л. Мяты, ფ. 8 მ.

4, ყვავილები:

ალისარჩულისა, Flores Carthami, Цвѣтки Шафлора, ფუთი 8 მან.

არნისა (არნის ბალახისა), Flor. Arnicae, Цвѣт. горнаго бараанника ფუთი 8 მან.

ბეგაურისა ანუ დედალ ბარცმანუკისა, Flor. Millefolii, Цв. Тысячелистника, ფუთი 4 მან.

გარეული ბალბისა (ტყის ბალბისა) Fl. Malvae silvestris. Цвѣт. лѣсной просвирки, გირვანქა 40 კ.

დიდგულასი, Fl. Sambuci, Бузинный цвѣтъ, ფუთი 6 მან.

ვარდისა, Flor. Rosae, Лепестки розы, გირვ. 20 კ.

ვარდშროშანასი, Fl. Convolaria Mayalis, Цв. Ландыша, გირვანქა 1 მან.

იასი. Fl. Yi'olarum, Цв. фіалки, გირვანქა 80 კაპ.

იორდასალამისა, Fl. Pioniae, Цв. Піона, გირვ. 70 კაპ.

მიასწარასი, Fl. Chamomillae vulg. Цв. обыкн. ромашки. ფუთი 10 მან.

ნარგიზისა, Fl. Calendulae, Цв. Наготки, გირ. 40 კ.

მყრალაუსი, წითელი გვირილა, Fl. Pyrethri roseì. Персидскій порошокъ, ფუთი 6 მან.

პირბამბასი, სიროს ყვავილი, Verbasci, Цв. Медвѣжьяго уха, გირვ. 1 მან.

ფურისულასი, Fl. primula veris, Цв. первоцвѣта, გირვ. 1 მან.

ღიღილოსი, Fl. Cyani, Цв. василька, გირვ. 70 კ.

ყაყაჩოსი Fl. Rhoeados, Лепестка полеваго мака, გირვ. 60 კ.

ცაცხვისა. Fl. Tiliae, Липовой цвѣтъ. ფუთი 9 მან.

ჭინჭრის დედასი, Fl. Lamii, Цв. глухой крапивы, გირვ. 2 მან.

ხოროსანისა (ხოროსანის თესლი) Fl. Cìnae, Цытварное сѣмя, გირვ. 10 კ.

5) ფესვები:

კოთხუჯისა, Rhizoma Calami, Корневище Ира, გირვ. 10 კ.

გვიმრასი ანუ ჩადუკოსი, Rhiz. Filicis maris, Корнев. мужскаго папоротника. გირვ. 15 კ.

აპუნდარაკისა, Rhiz. Veratri albí, Корнев. бѣлой чемерицы, გირვ. 15 კ.

6) ძირები:

ავაჯუასი, Rad. Alkannae, Алканный корень, გირვ. 15 კ.

ანგელოზასი, Rad. Angelicae, Кор. Аптечнаго дягиля. გირვ. 15 კ.

ბურდველასი, Rad Helenii. Кор. больш. девясила.

ვარდკაჭაჭასი. Rad. Cíchoreí, Кор. цикорія, გირვ. 8 კ.

კატაბალახისა, Rad Yaleríanae, Кор. Валеріаны, გირვ. 12 კ.

ლომის კბილასი, Rad. Taraxaci, Кор одуванчика, გირვ. 12 კ.

მწვანე ხარიძირასი, Rad Hellebori viridis. Кор. зеленой чемерицы. გირვ. 15 კ.

ტუხტისა, Rad. Althaeae, Корень аптечняго просвирняка, გირვ. 20 კ.

ძირხვენასი, Rad. Bardanae, Кор. Лапушника, გირვ. 10 კ.

ძირტკბილასი, Rad. Glycyrrhizae, Кор. Лакричника, ფუთი 4 მან.

კოკორი ფიჭვისა, Gemmae píní, Сосновыя почки, გირვ. 70 კ.

კოკორი ვერხვისას Gemme populi, Тополэвыя почки, გირვ. 20 კ.

ხე ღვიასი, Lígnum Juníperí, Можжевеловое дерево, გირვ. 5 კ.

7) ქერქები:

ბროწეულის ძირისა, Cortex Radicis Granatì, Кора гранатняго корня, გირ. 35 კ.

მაჯაღვერასი, Cort. Mezereí, გირ. 25 კ.

მუხისა, Cort. Quercus, Дубовая корка, ფუთი 1 მ 50 კ.

ხეშავასი, Cort. Frangulae. Корка крушины, გირვ. 10 კ.

ტიტები, Cort. Fructus granati, Корка граната, გირვ. 15 კ.

წენგო კაკლისა, Cort. Fructus Juglandis, Корка грецкихъ орѣховъ, გირვ. 15 კ.

ამასთანავე ხალხმა ბევრი უებარი წამალი იცის მცენარეთა შორის. საჭიროა ეს მცენარენი ხალხისაგან შევისწავლოთ და მეცნიერებას გავაცნოთ. არა ერთხელ მომხდარა, რომ მელიმე სატკივარი სამკურნალო მეცნიერების წარმომადგენლებს უკურნებელი ჰგონებიათ, სოფლელ დედაკაცს კი ბალახებით მოურჩენია. დიაღ, ბატონებო, დროა ამ სასარგებლო და საინტერესო საგანს ჯეროვანი ყურადღება მივაქციოთ — რაც ჩვენ ვიცით ხალხს ვასწავლოთ და ხალხისაგანაც ჩვენ ვისწავლოთ. სასურველია აგრეთვე ჩვენმა შეძლებულმა მემამულეებმა საგანგებოდ დასთესონ ხოლმე ძვირფასი სამკურნალო მცენარეულობა. სხვა არა ვთქვათ რა, სირცხვილიც კია ღვთის წინაშე, რომ საქართველოსთანა ბუნების და ჰავის პატრონი გავამართლოთ ერთი რუსული ანდაზა „Глупому сыну не въ прокъ отцово богатство.“ ნეტა რა არ იხარებს ამ ღვთით მომადლებულ ჩვენს სამშობლოში!...

ილ. ალხაზიშვილი.

# უცხოეთი

—

**საფრანგეთი.** როგორც გაზეთები იუწყებიან, დრეიფუსის საქმეს აგვისტომდის არ გაარჩევს ახალი სამხედრო სასამართლო, რადგან ივლისში ერთობ დიდ-ძალი ხალხი იყრის თურმე თავს რენში; 1200 კაცამდე მარტო სტუდენტები იყრიან თურმე იქ ეგზამენს სხვა და-სხვა ფაკულტეტზე. სასამართლოს თავმჯდომარედ დანიშნულია ინჟენერი პოლკოვნიკი ჟუო. ეს გარემოება ბევრს ძლიერ სანუგეშოდ მიაჩნია, რადგან ჟუოს დიდად პატივსა და მიუდგომელ კაცად იცნობს საზოგადოება. მხოლოდ ნაციონალისტების გაზეთები დაუღონებია ამ გარემოებას. ისინი ჭკვიანსა ჟუოს და ხმას ავრცელებენ, ვითომც ის დრეიფუსის ეგრძობოდეს.

საფრანგეთის მხედრობის გენერალს, ტრიკოშს, წერილი დაუბეჭდია ერთს გაზეთში, რომელშიაც ამტკიცებს, რომ საკასაციო სასამართლოს გარდაწყვეტილება სრულებითაც არ ამცირებს მხედრობის სახელსო; პირიქით, მხედრობა სხვაზედ უფრო უნდა იყოს მოწადინებული დრეიფუსის საქმეს სინათლე მოუფინოსო. წერილის ბოლოს აი რას ეუბნება გენერალი საფრანგეთის მთავრობას:

თქვენი მოვალეობა ეხლა მხოლოდ ის არის, რომ დაიცვათ სრული დამოუკიდებლობა რენის სამხედრო სასამართლოსი და ნდობა და პატივისცემა მოუპოვოთ ამ სასამართლოს დადგენილებასო.

— გაზეთების სიტყვით, სახელმწიფო საბჭო ჩქარა განიხილავს პოლკოვნიკ პიკარის საჩივარს სამხედრო დისციპლინარულ სასამართლოს განჩინების წინააღმდეგ, რომელმაც ჯარიდგან გამორიცხა მიუსაჯა მას. როგორც-კი სახელმწიფო საბჭო თავისს განჩინებას დაადგენს ამ საქმის გამო, — ამბობს გაზეთი, — გენერალი გალიფე მაშინვე წარადგენს პიკარს მხედრობაში. პარიჟის სამხედრო დისციპლინარული სასამართლოს გადაწყვეტილება არ მიაჩნია თურმე სამხედრო მინისტრს კანონიერად, რადგან, მისის აზრით, პიკარი ტუნისში უნდა გაესამართლებინათ, და არა პარიჟში.

—

**ინგლისი.** ამას წინად ახალშენთა მინისტრმა ჩემბერლენმა ტრანსვაალის შესახებ სიტყვა წარმოსთქვა ბირმინგამში. როგორც ვიცით, ამ ჟამად ინგლისისა და ამ პატარა რესპუბლიკის შორის საქმე გამწვავებულა, რასაც თვით ჩემბერლენის საქციელმა გამოიწვია უფრო, ვიდრე სხვა მიზეზებმა, და ეხლაც თავისს სიტყვაში ძლიერ დამუქრებია მინისტრი როგორც რესპუბლიკას, ისე მის პრეზიდენტს, კრიუგერს. სხვათა შორის, ისიც სთქვა ჩემბერლენმა, რომ ცუდ სამსახურს უწევენ სამშობლოს და მშვიდობიანობის საქმეს ის გაზეთები, რომლებიც ხმებს ავრცელებენ, ვითომ დანარჩენი მინისტრები ჩემი წინააღმდეგნი იყვნენ ტრანსვაალის შესახებო. ეს ხმები ტყუილია, — განაგრძო ორატორმა, და ავგარი მწერლები თავიანთ ნაწერებით ინგლისის წინადადების წინააღმდეგ აქეზებენ ბოერებს, რასაც ზარალის მეტს არას შეუძლიან-რაო. ამ სიტყვებმა უსიამოვნება დაბადა ინგლისის გაზეთებში და ამასთანავე არც კაბინეტის დანარჩენ წევრებს დარჩათ ის სასიამოვნოდ. პარლამენტის წევრებიც მომეტებულ ნაწილად იმ აზრისა ყოფილან ეხლა, რომ ტრანსვაალთან მშვიდობიანად მორიგებობის მაგიერ ჩემბერლენი არისო, რომლის პოლიტიკა უნდობლობას ჰბადებს ბოერებში ინგლისის მიმართ, და ესლანდელი მისი სიტყვა უფრო გაამძაფრებს ამ უნდობლობასაო.

—

**ოსმალეთი.** „პეტერბურგის უწყებების“ სიტყვით, ვანას ვილაიეთიდგან ცნობა მიუღიათ კონსტანტინოპოლში, რომ ქურთებმა კიდევ ძალ-მომრეობა იხმარეს იქაურ სომხების წინააღმდეგო, და პასუხის მგებლები ამ საქმეში უნდა იყვნენ ემინ-ფაშა, ხუსეინ-ფაშა და ქურთების ერთი ბოლკის უფროსი დიასფერ-ბეგიო. იმათ ხელქვეით ჯარის კაცთ დაუქცევიათ რამდენიმე სომხის სოფელი და ბევრი ხალხიც დაუხოციათ. ქურთები დიდად უკმაყოფილონი ყოფილან, რომ სომხების სოფლები დაინასახლონ და ამის გამო ძალას ატანენ თურმე იქაურ მცხოვრებთ დასტოვონ თავიანთი სახლ-კარი. თუ სომხებმა თავიანთის ნებით არ შეასრულეს მათი სურვილი, მაშინ სომხების სოფლებს შუა ესახლებიან ისინი და მოსავლებსაც არ აძლევენ თურმე მეზობელ სომხებს, სანამ არ მოიშორებენ თავიდან და არ მიატოვებენ თავიანთ საცხოვრებელს. ზემოთ მოხსენებული ფაშები და ქურთების ჯარის უფროსი, ვითომ იმ განზრახვით, რომ ერთმანეთთან მორიგებინათ ქურთების ორი ტომის ხალხი, განვლეს ოლქში წასულან ჯარებით და ამ დროს დაუქცევიათ სომხების სოფლები: სეიხანი, ხასანოვა და ალიშენარი. ოსმალეთის მთავრობა წინადადებაზედ მოკლებული უფლება საშუალებას ქურთების წინააღმდეგ იღონოს რამე და მათგან დაიფაროს სოფლელი სომხები.

—

**ესპანია.** ამერიკასთან ბრძოლის შემდეგ ესპანიისათვის მეტი ზარალი შეიქმნა დიდძალი ჯარის შენახვა. ყველას ასე ეგონა, რომ ესპანიის მთავრობა ამ უზარმაზარ შტატებს ადვილად შეამცირებს და ჯარების რიცხვს შესამჩნევად შეამცირებსო. ეს მართლაც ასე უნდა მომხდარიყო, რადგან თავისი ახალშენები, სადაც მუდამ მეტი ჯარება იყო საჭიროა, და რომლის დასაფარავადაც მაშინ უძლეველად საჭიროები, ჯარება კიდა ზოგი შეერთებულმა შტატებმა ჩამოართვა და ზოგიც გერმანიამ იყიდა; ხოლო რაც შეეხება თვით ესპანიის ტერიტორიას, ჯერჯერობით არავინ არ ემუქრება ამას. მაგრამ ესპანიის მთავრობამ სულ სხვა თვალით შეხედა ამ საქმეს და დინას-

---

ცალინეობა მოითხოვა. იაპონელებმა ყოველ-გვარი სისტემა გამოსცადეს და ბოლოს საკუთარი სისტემა შეიმუშავეს და იმას დაადგნენ. როგორც ყველა სხვა საქმეში აქაც იაპონიამ სახელმწიფოებისაგან კარგი და გამოსადეგი იცესხა. ამის წყალობით იმათ სისტემაში შეერთებულია ელემენტარული სკოლები ინგლისისა, უმაღლესი სკოლები ამერიკისა, ნორმალური — საფრანგეთისა და უნივერსიტეტები გერმანიისა.

იაპონიის სასწავლებლები გაიყოფებიან პირველ-დაწყებითად, საშუალო, უმაღლეს და სპეციალურ სასწავლებლებად და უნივერსიტეტებად. საყურადღებოა ის გარემოება, რომ სწავლა-განათლების საქმე თითქმის სულ თემისა და კერძო კაცების ხელშია; სახელმწიფო მხოლოდ თვალ ყურს ადევნებს. ელემენტალურ განათლების მიღება იაპონიაში ყველა ბავშვისათვის სავალდებულოა.

პირველ-დაწყებითი სასწავლებლები ორ-გვარია: ჩვეულებრივი და მაღალი. სწორედ პირველ სკოლაშია სავალდებულო სიარული ყველა ბავშვისათვის 6-დგან 10 წლამდე. ასწავლიან იქ: წერა-კითხვას, ანგარიშს, გიმნასტიკას და ზოგგან ხატვასა და გალობასაც. სწავლა 3-4 წელიწადია. მაღალ სკოლებში შესვლა სავალდებულო არ არის. სწავლის ვადა 4 წელიწადია. ზემოდ ჩამოთვლილ საგნებს გარდა ასწავლიან: გეოგრაფიას, ისტორიას, ინგლისურ ენას, ფიზიკას და ზოგიერთ ცნობას მეურნეობიდგან და ვაჭრობიდგან.

როგორც საერო განათლების სამინისტროს ანგარიშიდგანა სჩანს, 1897 წელს 26,860 პირველ-დაწყებითი სკოლა იყო იაპონიაში; ამათგან 26,361 საზოგადოების ხარჯით ინახებოდა, 497 — კერძო კაცებისა და მხოლოდ 2 სახელმწიფოსს ხარჯით. სწავლობს ამ სკოლებში სულ 3,993,898 ბავშვი. პირველ-დაწყებით სკოლას უახლოვდება სახელოსნო და საკომერციო სასწავლებლები. 1897 წელს მათი რიცხვი იყო სულ 35.

პირველ-დაწყებითი სკოლებიდგან 12 წლის ბავშვები გადადიან საშუალო სასწავლებელში, სადაც შემდეგ საგნებს ასწავლიან: გეოგრაფიას, ისტორიას, მათემატიკას, ბუნების-მეტყველებას, ფიზიკას, ქიმიას და ეტიკას და იაპონურ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ ან ნემეცურ ენებს (ამ ორ უკანასკნელისაგან მხოლოდ ერთია სავალდებულო). ამ სასწავლებლებთან იმათთვის, ვინც სწავლის განგრძობას არ აპირობს, არსებობს და მატებითი კურსები მიწად-მოქმედებისა, მეურნეობისა და ვაჭრობისა. საანგარიშო წელს სულ 157 საშუალო სასწავლებელი იყო იაპონიაში. უმაღლეს სკოლებში ახალგაზრდა ყმაწვილები საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ შედიან. სწავლის ვადა იქ ორი წელიწადია, რომლის განმავლობაში საშუალო სასწავლებლის საგნების გარდა ასწავლიან ლათინურ ენას, ზოოლოგიას, ბოტანიკას, გეოლოგიას, მინერალოგიას და ფილოსოფიას. ყველა ამ უმაღლესს სკოლასთან არის განსაკუთრებული სამკურნალო, საინჟენერო, იურიდიული და ფილოლოგიური განყოფილებანი. ასეთი სასწავლებელი ხსენებულ წელს იაპონიაში 6 იყო. დედათა უმაღლესი სკოლა 26 იყო. პროგრამმა აქ თითქმის ისეთივეა, როგორიც ვაჟთა უმაღლესს სასწავლებლებში.

უნივერსიტეტები იაპონიაში ნემეცურ უნივერსიტეტების მაგვარად არის მოწყობილი. შედიან იქ საშუალო სასწავლებლის გათავების შემდეგ. რადგანაც, როგორც ზევითაც დაინახავდა მკითხველი, უმაღლესი სასწავლებელი ბევრია იაპონიაში, ამიტომ უნივერსიტეტი 1897 წელს მხოლოდ ორი არსებობდა: ტოკიოსა და კიოტში. პირველში ექვსი ფაკულტეტია: იურიდიული, სამკურნალო, საინჟენერო, ფილოლოგიური, საბუნების-მეტყველო და სამიწად-მოქმედო. სამკურნალო ფაკულტეტზედ სწავლა 4 წელიწადია, სხვებზედ — 3. საუკეთესო სტუდენტები გათავების შემდეგ სპეციალურ განყოფილებაში გადადიან, სადაც 2 წლის განმავლობაში არჩეულ საგანს სწავლობენ. კიოტში უნივერსიტეტი მხოლოდ 1897 წელს იქმნა დაარსებული შემდეგის ფაკულტეტებით: სამექანიკო, სახუროთ-მოძღვრო, იურიდიული, სამკურნალო, ფილოლოგიური და საბუნების-მეტყველო.

ჩამოთვლილ სასწავლებლებს გარდა იაპონიაში როგორც ვაჟებისათვის, აგრეთვე ქალებისათვის არსებობს მრავალი სპეციალური სასწავლებელიც. ამათ რიცხვს ეკუთვნის ნორმალური, სატეხნიკო, საკომერციო და მრავალი სხვა. ნორმალური სკოლები დაბალი და საშუალოა. სპეციალურ სკოლებს იაპონიაში ეძახიან იმათ, სადაც ერთ-ერთ რომელსამე საგანს ასწავლიან: მკურნალობას, ფარმაციას, იურისპრუდენციას, პოლიტიკურ ეკონომიას, ლიტერატურას, ისტორიას და სხვას. ეს სასწავლებლები უნივერსიტეტის ფაკულტეტს არ ჩამოუვარდება. 1897 წელს მათი რიცხვი 41 იყო.

სატეხნიკო და საკომერციო სკოლებითაც მდიდარია იაპონია: საანგარიშო წელს 80 ითვლებოდა. ეს სკოლები უმაღლესი სასწავლებლებია. ამ სკოლების რიცხვს ეკუთვნიან სამიწად-მოქმედო ინსტიტუტი საპოროში, სატეხნიკო სასწავლებლები ტოკიოსა და ოსაკაში, სამხატვრო სასწავლებელი, დრამატიული სასწავლებლები და სხვა.

დასასრულ, საჭიროა მოვიხსენოთ აგრეთვე სამხედრო და საზღვაო სასწავლებლებიც და ის დაბალი სკოლები, სადაც მხოლოდ იაპონურს და ჩინურს ლიტერატურას ასწავლიან.

მარტო ამ ჩამოთვლილ ციფრებიდგან კაცი აშკარად დაინახავს, რამდენად წინ წასულა იაპონია სწავლა განათლების საქმეში.

ი. ა — ძე

ტიის ინტერესებს მთელი ქვეყნის ეკონომიური კეთილ-დღეობა ანაცვალა. საქმე ის არის, რომ კუბიდგან, პორტორიკოდგან და სხვა ადგილებიდგან დაბრუნებულ ჯარს ჯამაგირები დაურიგა მთავრობამ, მაგრამ გაბედვით-კი ვერ გაჰბედა აფიცრების დათხოვნა სამსახურიდგან. მიზეზი ის იყო, რომ მთავრობას შეეშინდა, კაი თუ აფიცრებმა იწყინონ ეს და კარლისტებს ანუ რესპუბლიკელებს მიემხრონო!.. მაშინ ხომ ტახტს ვეღარ გაიმაგრებს ეხლანდელი დინასტია და ესპანიაში ან დონ-კარლოსი გამეფდება და ან რესპუბლიკური წეს-წყობილება დამყარდებაო. ამ შიშის გამო აფიცრები ისევ სამსახურში დარჩნენ და აფიცრებთან ერთად ჯარების რიცხვიც ვეღარ შემცირდა ისე, როგორც მოსალოდნელი იყო. იუწყებიან მაგალითად, რომ 108,000 კაცი უნდა დარჩეს ესპანიის მხედრობაშიო.

ომის დროს ხომ დიდი ხარჯი მოუვიდა ესპანიას: ვალებში ჩავარდა, რომელსაც თავთავის დროზედ უნდა გასტუმრება, და ამასაც გარდა დაერთო ამოდენა ჯარების შენახვა, საჭირო გახდა ახალი გარდასახადის გაწერა ხალხზე. ამ გარემოებამ დიდი არეულობა გამოიწვია ბევრს ადგილას, რომელიც ჯერაც არ შეწყვეტილა. არეულობა მარტო დაბალ ხალხს როდი მოუსდენია, შეძლებულებმაც მიიღეს იმაში მონაწილეობა. სავაჭრო პალატებმა პირდაპირ განუცხადეს მთავრობას, რომ თუ შემოსავლის კვალობაზედ გაწერილი გარდასახადი მალაში დარჩა, ვაჭრები არ იკისრებენ იმის გარდახდასო. ამ გვარს განსაცდელშია ამ ჟამად ესპანიის მთავრობა და როგორ დაიხწევს თავს, მომავალი გვიჩვენებს.

◆◆

## დ ა მ ა ჯ ე რ ე ბ ე ლ ი

მასხულავი მაშინ ანათობს,
რომ მთვარე არსად იყოსა.

როსტომ გმირი

* * *

არ არის ადამიანი, რომელშიაც მეტად ნაპერწკალი მაინც არ ღვიოდეს კარგის გრძნობისა, როგორც არ არის სრულიად უნაკლულო კაცი.

* * *

რა გინდ უმაღლესი იყოს საგანი ჩვენის მისწრაფებისა, მაინც საფუძვლად მეოიზმი უდევს.

ბ დ—ლი

◆◆

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ნიუ-იორკში ამას წინად კატების გამოფენა იქმნა გამართული. ამერიკაში საზოგადოდ ამ ჟამად კატები დიდ მოდაშია. ეს უკვე მეორე გამოფენაა კატებისა. პირველი საჩუქარი ვიღაც გიუგის კატას მიუღია. ამ კატაში გიუგს 20,000 მარკას აძლევდნენ, მაგრამ მაინც არ გაჰყიდა. გამოფენაზედ საზოგადოების ყურადღება მიუქცევია აგრეთვე ქ-ნ ვანდერბილდის და ჯემს ვუდვინსის კატებს. პირველის კატას შარშან 6000 მარკა აუღია. ვუდვინსმა თავისი კატა 48,000 მარკად შეიძინა.

* * *

როგორც ამერიკული გაზეთები იუწყებიან, მესინში ერთს ოჯახში ნამდვილი შინაური „ომი“ მომხდარა. ამ ქალაქში სცხოვრობს თურმე მდიდარი, ყველას მიერ ცნობილი ვაჭარი ბრუსკეტტი. ამას წინად ბრუსკეტტის ცოლსა და დედას ლაპარაკი მოსვლიათ, რომელიც ჩხუბად და კრივად გარდაქცეულა. ვაჭარს დედის მხარი დაუჭერია, ხოლო იმის ცოლს ცოლის-ძმა მიეშველებია. თვით ბრუსკეტტი ისე გაბრაზებულა, რომ დიდი დანა აუღია და სასიკვდილოდ დიუჭრია ცოლი, სიდედრი და ბებია. დაუჭრია აგრეთვე ცოლის-ძმაც. შემდეგ თვითონაც დაჭრილი დაცემულა. ყველანი სიკვდილის პირას არიანო, იუწყებიან გაზეთები.

* * *

ამ ჟამად შეერთებულ შტატებში ძალიან ბევრს ლაპარაკობენ მილიონერის ჰენრი სლოანის და იმის ახალგაზრდა, ლამაზს ცოლის ჯესსის შესახებ. ამ ცოლ-ქმართა ამბავმა მთელი „მეხუთე კვარტალი“,—მილიონერთა უბანი, ააშფოთა და აალელვა. გაზეთები მგონი ესპანია-ამერიკის ომის შესახებ არა სწერდნენ იმდენს, რამდენსაც ამ მეუღლეთა შესახებ სწერენ. საქმე აი რაშია. ამ 16 წლის წინად ჯესი ულამაზესს ქალად ითვლებოდა ბრუკლინში. ახალგაზრდა ქალი მხიარულ, მდიდრულ ცხოვრებას იყო მოწადინებული და ამის გამო უთვალავ მილიონერის პატრონს ჰენრი სლოანს მისთხოვდა. პირველ ხანს ახალგაზრდა ქალს გულის წადილი აუსრულდა: სალამოები, ბალები იმის ხელთ იყო. საზოგადოდ დროს ისე ატარებდა, როგორც იმის გულსა და სულსა ჰსურდა; მაგრამ მალე ქმარს ასეთი ცხოვრება მოჰბეზრდა. იმას უფრო მყუდრო, მშვიდი ცხოვრება უნდოდა. ქმრის უკმაყოფილება უფრო ახალგაზრდა „ფრანტებმა“ გამოიწვიეს, რომელნიც კუდივით დასდევდნენ იმის ლამაზს ცოლს. ეგონა, მოჰბეზრდება და მალე მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდებაო, მაგრამ რაც დრო გადიოდა, ქალი გაშლილს ცხოვრებას უფრო და უფრო ეტანებოდა. არც შვილების გაჩენამ უშველა რამ საქმეს. ამ გარემოებამ მილიონერს ძილი დაუფთხო, მადა დაუკარგა და საზოგადოდ ძალიან დაალონა და დააძმარა. ამისდა მიუხედავად, ნიუ-იორკში მაინც არავის ეგონა თუ საქმე განქორწინებამდე მივიდოდა. ამერიკელ მილიონერთა შორის განქორწინება არ არის წესად მიღებული. თუ ცოლ-ქმარს შორის აყალ-მაყალი ასტყდა, ერთმანეთს გაჰშორდებიან და ცალ-ცალკე იცხოვრებენ, მორჩა და გათავდა.

საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ამ შემთხვევაში ლამაზს ჯესის ქმრისაგან განშორება სრულებითაც არა ჰსურდა. მალე გავარდა ხმა, რომ ჯესისთან ორი ახალგაზრდა კაცი დაიარება. ორივენი დიდი ხანია ცნობილნი არიან ნიუ-იორკში თავაღებულ კავალრებად. საწყალი მილიონერი სულ ერთიან დაიბაგრა და დაიტანჯა. მილიონებში წინანდელ სიამოვნებას ვეღარა ხედავდა. ეხლა ცოლის ყოფა ქცევა თავიდგან აღარა ჰშორდებოდა. იფიქრა, იფიქრა და გადასწყვიტა, მოდი ნიუ-იორკიდგან ნიუ-პორტში გადავსახლდებიო. სიტყვა და საქმე ერთი იყო. მაგრამ არც გადასახლებამ უშველა რამ. მეორე დღეს ის ორი კავალერი ერთად გოშია ძაღლებივით მიადგნენ იმის სახლის კარს. ქმარმა ვეღარ მოითმინა და დიდი ჩხუბი გაუმართა. შინაურმა ვექილმა მაინც კიდევ შეარიგა მეუღლენი, მხოლოდ ქალს ხელშეკრულება ჩამოართვა. ხელშეკრულებაში ჩამოთვლილია ის ნაცნობები, რომელთანაც ცოლს არ უნდა გაეარა და არ დალაპარაკებოდა. რასაკვირველია, ორი კავალერიც ამ სიაში იქმნა მოქცეული, მაგრამ... მხოლოდ რამდენისამე დღით. ერთ მშვენიერ საღამოს მილიონერი თეატრში შევიდა და ლოჟაში თავის ცოლი-კი დაინახა, რომელსაც აქეთ-იქით გან-უშორებელი კავალრები უსხდნენ. ამის მოთმენა-კი აღარ შეიძლებოდა. იქვე თეატრში ერთი აყალ-მაყალი და აურ-ზაური ასტეხა. ხოლო მეორე დღეს სასამართლომ განაქორწინა ცოლ-ქმარი. საკვირველი და სასაცილოც თუ გნებავთ აქ ის არის, რომ იმავე დღეს, რა დღესაც განქორწინება მოხდა, ჯესმა ერთი თავისს კავალერი—პერ ბელმონტი სხვა შტატში წაიყვანა და ჯვარი გადაიწერა... ამბობენ ლამაზმა ჯესიმ გადასწყვიტა მომავალ სეზონში ისეთივე როლი ითამაშოს, როგორც წარსულში და ისევე მოექცეს ახალ ქმარს, როგორც პირველს მოექცა.

◆◆

## დ ე პ ე შ ა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

24 ივნისი

**ეკატერინოსლავის ნავთ სადგური.** მისი უდიდებულესობა 23 ივნისს ბრძანდებოდა ეკკლესიაში და დაათვალიერა ახლის ქალაქის და ნავთსადგურის დაწესებულებანი და შენობანი. დღეს მისის უდიდებულესობის თანადასწრებით აკურთხეს ახალ ქალაქს და ნავთ-სადგურს.

**ბაქო.** ეს მეორე დღეა, რაც რილსკის ქარხნის ცისტერნებს ცეცხლი ეკიდება. შიგ 600,000 ფუთი ნავთია. ზარალი 150,000 მანეთია. ქარხანა დაზღვეულია „როსიას“ საზოგადოებაში.

**ბუდაპეშტი.** წარმომადგენელთა პალატა. მინისტრ-პრეზიდენტმა, უგრონის კითხვაზედ იმის შესახებ, რომ რუსეთი ჩერნოგორიის წარმომადგენელიც არის გააგის კონფერენციაზედ, სთქვა: ჩვენს სახელმწიფოს იმის საწინააღმდეგო არაფერი აქვს, რომ რუსეთი ჩერნოგორიის წარმომადგენელიც არის; მით უმეტეს, რომ ესევე წინადაც არა ერთხელ მომხდარა სადიპლომატო საქმეში. კონგრესებსა და კონფერენციებზედაც ხშირად ერთი სახელმწიფო მეორის წარმომადგენელია; ეხლაც ასე მოხდა და ჩვენც არა გვეთქმოდა რა. პალატამ მინისტრ-პრეზიდენტის პასუხი მხედველობაში მიიღო.

◆◆

## წერილი რედაქციის მიმართ

—

მადლობას ვუცხადებ ყველას, რომელთაც დიდის თანაგრძნობით პატივი გვცეს, როდესაც (აღდგომასა და ახალ-კვირას შუა) წყალ-წმინდის სკოლის მოსწავლეებით ვსეირნობდით შავის ზღვიდამ მოყოლებული გურიის დასავლეთ თავამდე (თავ-სურებამდე). ს. დვაბზუში ჯაბა ცხომელიძემ მიგვიპატიჟა სადილ-ვახშმად; 18 სული ვიყავით. ს. ბახვში გიგო შარაშიძემ და მისმა მეუღლემ ნინომ 5 მან. და სამგზავრო საგრძლით დაასაჩუქრა ბავშვები. დაბა ხიდისთავში აზ. სიო ბერიძემ გვისტუმრა ღამის გასათევად. სოფელ ციხეს დავით გურგენიძემ გვისტუმრა და ილარიონ ანთიმოსის ძე მგალობლიშვილმა დაასაჩუქრა ბავშვები 1 მანეთით. აგრეთვე დაასაჩუქრეს თავ სურებში სიო ბარამიძემ დ ოქროპირ კიკვაძემ, მასწ. კაპიტონ ტრაპაიძემ დომენტი სოროხანიშვილმა და აზ. კონსტანტინე სანიკიძემ. ახალკვირეს მათს ეკკლესიაში ჰგალობდნენ ჩვენი მოსწავლეები, ქორიძის გადმოღებულ ნოტების საშუალებით და ბ. ს. ლოსაბერიძის ლოტბარობით. დაბრუნებისას მიგვიპატიჟეს კიდევ ბარამიძემ და გურგენიძემ; ციხეს—ბლაღოჩინმა მამა სილიბისტრო ხუნდაძემ; ჯიხეთში —დედათა მონასტერმა; ნიგოითში—ნანე გოგეშვილის ქვრივმა დ ობლებმა; დაბა ლანჩხუთში—ბლაღოჩინმა მამა ეპიფანე ჩხაიძემ; ჩოჩხათში—სპირიდონ მახარაძემ და კ. ჯიჯიეიშვილმა. 1 მან. დაასაჩუქრა ბავშვები ერთმა უცხო ვინმემ ს. დვაბზუში.

მმართველი წყალ-წმინდის სკოლისა სიმონ ქორიძე

◆◆

## „ივერიის“ ფოსტა

**ვ. ბზ—ს** „ძალა უფლისა“ არ დაიბეჭდება.

**წვერს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ო—ი. მ. ზ. ჭ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**დ. ც—ლი. ლევანს.** არ დაიბეჭდება.

**მ—პ—ი ქართლელს.** არ დაიბეჭდება.

**ძ.მ—ე.** არ დაიბეჭდება.

**სად. უჯ—ი. გ. დ. ძ—იას.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ო—თი. ა. მ. ძ—ძეს.** არ დაიბეჭდება.

**არჩეულას.** არ დაიბეჭდება.

Chav—die-ს. არ დაიბეჭდება.

**აკეთელ ხიმონას.** არ დაიბეჭდება.

**ა. ძუ—ს.** ლექსები არ დაიბეჭდება.

**ქ. ლაშ—ს.** „სამწუხარო ამბავი“ არ დაიბეჭდება.

**ქ. ფ—ი. მეთვალყურეს,** არ დაიბეჭდება.

**ქ. ო—თი. ნაგ.—ჭია—ელს.** არ დაიბეჭდება.

**ქ. ო—თი. მო—ნის.** არ დაიბეჭდება.

◆◆


## გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა ნ ი

განვიძრახე რა ყოველივე ანგარიშის გასწორება, რათა შევადგინო **ანდერძი,** უმორჩილესად ვთხოვ ყველას, ვისაც აქვს ჩემგან ვადა გასული, ან ვადა გაუსვლელი თამასუქები, ან სხვა რამე ვალდებულების ქაღალდები, მომიხოვონ და მიიღონ ივლისის ოცამდე ამა 1899 წლისა. წინააღმდეგ შემთხვევაში ყველაფერს ჩავთვლი ყალბად და უკანონოთ.

(3—б.—3) გიორგი ბარისის ძე კოსტავა

---

ბაღში შესვლა უსასყიდლოდ შეიძლება

27 ივნისიდგან დაწყებული მთელს ზაფხულს

# მცხეთაში

# „არმაზის“ ბაღში

(რკინის გზის სადგურის მახლობლად)

**კვირაობით** შუადღის 12 საათიდგან საღამოს 9 საათამდე დაუკრავს **სამხედრო მუსიკა** ბ-ნ ლიუბიჩის გამგეობით.

ბაღთან საუკეთესო ბუფეტი და სამზარეულოა. ფასები ყველასათვის ხელ მისაწვდენია. ბაღი ყოველ დღე ღიაა.

რკინის გზის „ტფილისის“ სადგურის ბუფეტის პატრონი

ე. ჩხარტიშვილი

—

მატარებლების მიმოსვლა ტფილისსა და მცხეთას შუა.

| ტფილისიდგან გადის: | | | | | მცხეთიდგან გამოდის: | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № 15. | დილის | 8 | საათსა და | 10 წ. | № 6. | დილის | 6 | საათსა და | 54 წ. |
| № 1. | „ | 9 | „ | 10 — | № 4. | „ | 9 | „ | „ — |
| № 7. | „ | 10 | „ | 15 — | № 16. | „ | 10 | „ | 8 — |
| № 5. | ნაშუად. | 2 | „ | 40 — | № 18. | საღამ. | 6 | „ | 53 — |
| № 17. | „ | 5 | „ | 15 — | № 2. | „ | 8 | „ | 20 — |
| № 03. | საღამოს | 7 | „ | 37 — | № 18. | „ | 9 | „ | 25 — |

ბაღში შესვლა უსასყიდლოდ შეიძლება

(1—б.—1).

---

1899

# „მოამბე“

## თვიური ჟურნალი

(წელიწადი მეექვსე)

### გამოვა იმავე პროგრამით

მხოლოდ ჟურნალის კრცელის პროგრამის საკსებით შესასრულებლად მიმდინარე წელს რედაქცია ეცდება, სხვათა შორის, მკითხველებს მიაწოდოს მიმოხილვანი შინაურის ცხოვრებისა და უცხოეთისა, აგრეთვე კრიტიკა და ბიბლიოგრაფია. ამ განყოფილებათათვის მასალის შეკრება და სტატიების წერა იკისრა ახლად შედგენილმა სარედაქციო კომისიამ. ჟურნალში დაიბეჭდება ახალი ორგინალური მოთხრობანი და დრამატიული თხზულებანი ჩვენის ცნობილი მწერლებისა.

უკვე დაიწყო ბეჭდვა სოფ. მგალობლიშვილის დიდის მოთხრობისა ჩვენის ცხოვრებიდან.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

| | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით |
|---|---|---|---|
| რუსეთის და კავკასიის ქალაქებში . . | **10** მან. | **6** მან. | **4** მ.ნ. |
| საზღვარ გარედ . . . . . | **13** მან. | **7** მან. | **5** მან. |

ვისაც წლიური ფასის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან შემოიტანოს: **1** იანვრამდე—**4** მან., **1** აპრილამდე—**3** მან. და **1** სექტემბრამდე—**3** მან.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში, ჟურნალ «მოამბის» რედაქციაში, რომელიც იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზე № 13.

წიგნის მაღაზიებს, რომელნიც იკისრებენ ჟურნალ „მოამბე“-ზე ხელის მოწერის მიღებას, შეუძლიანთ აიღონ მთელის წლის შემოსატანიდან კამისიისა და ფულის გამოგზავნისთვის ათი შაური, ხოლო თუ ფულს ნაწილ-ნაწილ შემოიტანენ, არაფერი დაეთმობათ.

შენიშვნა: 1) ჟურნალის თავის დროზე მიღებისათვის რედაქცია პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ფული გამოგზავნილ ან შემოტანილ იქნება რედაქციის კანტორაში. 2) ქალაქ გარეშე ხელის-მომწერთ ფულის მიღების კვიტანცია გაეგზავნებათ მხოლოდ იმათ, ვინც ჟურნალის ფასთან ერთად წარმოადგენს 7 კაპ. ფოსტის მარკას ყოველ კვიტანციაზე.

ქალაქ გარეთ მცხოვრებთათვის ადრესი: *Тифлисъ, Редакція* „**Моамбе**“.

რედაქციამ მოსახერხებლად სცნო სოფლის მღვდლებს, სოფლის მასწავლებლებს, ხელოსნებს და მოწაფეებს ჟურნალი დაუთმოს რვა მანეთად წელიწადში. ვისაც 8 მანეთის ერთად შემოტანა ეძნელება, შეუძლიან პირველში ოთხი მანეთი შემოიტანოს და ორ-ორი მანეთიც მარტში და გავისტოში. (20—б.—18)


Дозволено цензурою, Тифлисъ 25 го Іюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.